საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„აბუკურა“

„აბუკურა“, ძვ. ქართული მწერლობის ძეგლი.

ამ სახელწოდების ნაწარმოების არსებობა მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებიდან“, სადაც იხსენიება მხოლოდ ძეგლის სათაური „ა.“ XIX ს. 80-იან წლებში გამოითქვა ვარაუდი, რომ ამ სახელწოდებაში „ცხოვრების“ ავტორი შეიძლება გულისხმობდეს რომელიმე აპოკრიფს (ძვ. ქართულში დამოწმებული აბუკოროფა-აპუკოროფას ანალოგიით) ან ხარანის ეპისკოპოსის თეოდორე აბუკურას რომელიმე თხზულებას. 1918 კ. კეკელიძემ გამოსცა „წამებაჲ წმიდისა მიქაელისი...“ (კიმენი, ტ. I). ამ ძეგლში აღწერილია საბაწმიდის მოღვაწის მიქაელის ამბავი, რ-იც თავის მოწაფეთათვის თეოდორე აბუკურას უამბია.

მთხრობელის სახელი „ა.“ შემდეგ თხზულებას შერქმევია. თხზულება დაწერილია არაბ. ენაზე ვინმე ბასილის მიერ (IX ს.). „ა.“ X ს. დამდეგს ქართულად უთარგმნია უცნობ პირს. ძვ. ცნობის მიხედვით, ქართ. ტექსტი ბერძნულად უთარგმნია ექვთიმე მთაწმიდელს. გამოთქმულია აზრი, რომ „ა“ შეტანილია თეოდორე ედესელის „ცხოვრებაში“, რ-იც ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ეფრემ მცირემ.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

რ. ბარამიძე